რეკომენდაციები
უცხოური ენების მასწავლებლის საგნის გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის

2018 წლის გამოცდის ფორმატი უცხოურ ენებში ანალოგიურია წინა წლების ფორმატისა. არის მცირედი ცვლილებები მე-3 და მე-6 დავალებების ინსტრუქციებსა და პასუხების მონიშვნის ტექნიკაში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი

- მე-3 დავალების შესრულებისას (აბზაცები) კანდიდატმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ტექსტი და დებულებები, რომელიც ტექსტს მოსდევს (1-10). კანდიდატმა უნდა განსაზღვროს, ეს დებულებები სწორია თუ არასწორი. თუ დებულება სწორია, პასუხების ფურცლის 'სწორია' ნაწილში კანდიდატმა უნდა მონიშნოს შესაბამისი უჯრა, რომელიც აღნიშნავს იმ კონკრეტულ აბზაცს (A-F). სადაც მან ეს ინფორმაცია ნახა; თუ დებულება არ არის სწორი, პასუხების ფურცლის 'არასწორია' ნაწილში, კანდიდატმა უნდა მონიშნოს შესაბამისი აბზაცის აღმნიშვნელი უჯრა (A-F). ყოველი დებულებისთვის (1-10) კანდიდატმა უნდა მონიშნოს მხოლოდ ერთი პასუხი.

- მე-6 დავალების შესრულებისას კანდიდატმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ტექსტის ყოველი სტრიქონი (1-10). შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში კანდიდატმა პასუხების ფურცელზე უნდა მონიშნოს შეცდომის შესაბამისი ტიპი A-I. თუ სტრიქონში შეცდომა არ არის, კანდიდატმა პასუხების ფურცელზე უნდა მონიშნოს ასო J.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ გამოქვეყნებულ ტესტების ნიმუშებს და ინსტრუქციების მიხედვით შევსებულ პასუხების ფურცელს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებში. გთხოვთ, ასევე ყურადღებით გაეცნოთ შეცდომების ტიპების ჩამონათვალს ოთხივე ენისთვის. შეცდომების ტიპების ჩამონათვალი კანდიდატს ეძლევა გამოცდაზეც.